წინამდებარე, ძირითადად მიმოხილვითი სახის სტატიაში განიხილება ზედა ატმოსფეროს დინამიკის აქტუალური საკითხები: (ა) იონოსფერული ნეიტრალური ქარების დინამიკა, (ბ) პლანეტარული მასშტაბის მქონე დიდმასშტაბიანი ტურბულენტური სტრუქტურები, (გ) მაგნიტურ ჰიდროდინამიკაში ცნობილი დინამიკური შესაძლებლობის პირობები, (დ) კარგად ცნობილი და ზედა იონოსფეროს მცირე რხევების ახალი შტოები და (ე) ტურბულენტურ არეში ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების თავისებურებანი.



## WIND AND WAVE PROCESSES AT THE IONOSPHERE LEVELS

Gvelesiani A. I.

### Abstract

The article focuses: (a) on the main problems of the dynamics of ionosphere neutral winds, (b) the largescale vortex structure of planetary scale, (c) conditions of dynamically possibility of motion in magneto-hydrodynamics. Particular attention is given both to (d) well-known, and knew branches of oscillations of the upper atmosphere and also (e) to the peculiarities of the electromagnetics spreading in turbulent medium.

## ВЕТРОВЫЕ И ВОЛНОВЫЕ ПРОЦЕССЫ НА ИОНОСФЕРНЫХ УРОВНЯХ

Гвелесиани А. И.

### Р е ф е р а т

В предлагаемой работе, носящей, в основном, обзорный характер, рассматриваются: (а) вопросы динамики ионосферных нейтральных ветров, (б) крупномасштабные вихревые структуры планетарного масштаба, (в) условия динамической возможности движения в магнитной гидродинамике, (г) известные и новые ветви малых колебаний верхней атмосферы и (д) особенности распространения электромагнитных волн в турбулентной среде.

## ქ. თბილისის ატმოსფეროში მტვრის გავრცელების რიცხვითი მოდელირება.

### I. დასავლეთის ფონური სუსტი ქარის შემთხვევა

<sup>1,2</sup>სურმავა ა., <sup>2</sup>ინსკირველი ლ., <sup>3</sup>გვერდნითელი ლ.

1ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდია გეოფიზიკის  
ინსტიტუტი

2საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

3საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*aasurmava@yahoo.com; intskirvebi2@yahoo.com*

1. შესავალი. თბილისი, სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი, საქართველოს ადმინისტრაციული და ტურისტული ცენტრია. დაბინძურებისაგან მისი ატმოსფერული ჰაერის დაცვა მეტად მნიშვნელოვანი ეკოლოგიური და სოციალური ამოცანაა. ქ.თბილისის ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის პრობლემისადმი მიძღვნილია მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. მათში ასახულია ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების ექსპერიმენტული [1-6] და თეორიული კვლევის შედეგები [7-10].

ქ.თბილისის რელიეფი მეტად რთულია. ის დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია მაღალმთიანი მასივებით, ჩრდილოეთიდან უკავშირდება გარე სივრცეს მტკვრის ვიწრო ხეობით, ხოლო სამხრეთიდან დაბლობი ტერიტორიით. თეორიულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალაქის რელიეფის გავლენით ფორმირებული ჰაერის ლოკალური ცირკულაციები არ უწყობს ხელს ქალაქის ატმოსფეროს თვითდასუფთავების პროცესს, განსაკუთრებით ფონური აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარების შემთხვევებში.

ამიტომ, ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის გაუმჯობესების დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავებისა და პრაქტიკული ღონისძიებების გატარებისათვის საჭიროა თეორიულად იქნეს შესწავლილი ქალაქის ატმოსფეროში დამაბინძურებელ ნივთიერებათა დროში და სივრცეში განაწილების თავისებურებანი, განსაკუთრებით არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს. ნაშრომებში [7-10] რიცხვობრივად მოდელირებული და გაანალიზირებულია ქ.თბილისის დამტვერიანება ფონური აღმოსავლეთის ქარების დროს.

წარმოდგენილ სტატიაში, კვლევის შემდგომი გაფართოების მიზნით, რიცხვობრივად შეისწავლება ქალაქის ატმოსფეროს დამტვერიანება ფონური დასავლეთის სუსტი ქარის პირობებში. ამ მიზნით გამოიყენება კავკასიაში ატმოსფერული პროცესების განვითარების და დამაბინძურებელ ინგრედიენტთა გავრცელების რიცხვითი მოდელი [8].

### 2. ამოცანის დასმის მოკლე აღწერა

განხილულია ქ. თბილისისა და მიმდებარე ტერიტორიის არე ფართობით 30.6×24 კმ<sup>2</sup>. ქალაქის რთული რელიეფის პირობებში ატმოსფეროს დინამიკური ველების და მეტეოროლოგიური პარამეტრების მათემატიკურად კორექტული აღწერისათვის გამოყენებულია რელიეფის

მიმყოლი კოორდინატთა სისტემა  $(t, x, y, \zeta = (z - \delta)/h)$ . აქ  $t$  დროა,  $x$  და  $y$  პარალელისა და მერიდიანის გასწვრივ მიმართული კოორდინატებია,  $\zeta$  რელიეფის ზედაპირისადმი მართობულად მიმართული განუზომადი ვერტიკალური კოორდინატაა,  $\delta(x, y)$  რელიეფის სიმაღლეა ზღვის დონიდან,  $h = H - \delta$  ტროპოსფერის სისქეა,  $H(t, x, y)$  -ტროპოპაუზის სიმაღლეა.

არჩეულ კოორდინატთა სისტემაში მტვრის კონცენტრაციის ცვლილების განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით


$$\frac{\partial C}{\partial t} + u \frac{\partial C}{\partial x} + v \frac{\partial C}{\partial y} + (\tilde{w} - \frac{w_0}{h}) \frac{\partial C}{\partial \zeta} = \mu \left( \frac{\partial^2 C}{\partial x^2} + \frac{\partial^2 C}{\partial y^2} \right) + \frac{1}{h^2} \frac{\partial}{\partial \zeta} v \frac{\partial C}{\partial \zeta} + F, \quad (1)$$

სადაც,  $C$  ინგრედიენტის კონცენტრაციაა:  $u, v, w$  და  $\tilde{w}$  ქარის სიჩქარის მდგენელებია  $x, y, z$  და  $\zeta$  ღერძების გასწვრივ,  $w_0$  მტვრის დალექვის სიჩქარეა.  $F(t, x, y, \zeta)$  წყაროს მიერ ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევის სიჩქარეა.  $\mu$  და  $v$  - ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტობის კოეფიციენტებია. ქარის სიჩქარის მდგენელები და ტურბულენტობის კოეფიციენტები გამოითვლება [8] მოცემული განტოლებების რიცხვითი ინტეგრირების საშუალებით.

მტვრის გავრცელება მოდელირდება თავისუფალ ატმოსფეროში და ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში (1) განტოლების რიცხვითი ინტეგრირებით, შესაბამისი საწყისი და სასაზღვრო პირობების გამოყენებით. რიცხვითი ბადის ბიჯები  $x$  და  $y$  ღერძების გასწვრივ შესაბამისად ტოლია 300 და 400 მ-ის. ვერტიკალური ბიჯი თავისუფალ ატმოსფეროში ტოლია 1/31. ატმოსფეროს მიწისპირა 100 მ სისქის ფენაში ვერტიკალური ბიჯი იცვლება 0.5 -დან 15 მ-მდე. დროითი ბიჯი 1 წმდია. გამოთვლები ჩატარებულია 3 დღე-ღამის პერიოდისათვის.

განხილულია ივნისის თვეში მშრალი ამინდის პირობებში დასავლეთის სუსტი ფონური ქარის შემთხვევა. ქარის სიჩქარე იცვლება 1 მ/წმ-დან (მიწის ზედაპირიდან 100 მ სიმაღლეზე) 20 მ/წმ - მდე (ტროპოპაუზაზე, 9კმ) ატმოსფეროს ფარდობითი ტენიანობა 50%-ია.

დაშვებულია, რომ ატმოსფეროს აბინძურებს მტვერი, რომელიც წარმოიშვება ქლაქის მაგისტრალზე და ქუჩებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. მისი ოდენობა იცვლება დროში და განსაზღვრულია სტაციონალური დაკვირვების მასალების მონაცემების და ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის შეფასებით. ნახ.1-ზე ნაჩვენებია ქ. თბილისის რელიეფი. დაბინძურების წყაროების განაწილება აღნიშნულია ლურჯი ფერით. წყაროები მდებარეობენ ქლაქის ცენტრალურ მაგისტრალზე და ურბანიზირებულ ტერიტორიებზე.




ნახ.1. ქ. თბილისის რელიეფის სიმაღლეები (მ) და დაბინძურების წყაროების განაწილება. ღერძებზე გადაზომილია რეალური გეოგრაფიული კოორდინატები

### 3. რიცხვითი მოდელირების შედეგები

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია გამოთვლებით მიღებული მტვრის კონცენტრაციის და ქარის სიჩქარის სივრცული განაწილება მიწის ზედაპირიდან 2, 100 და 600 მ სიმაღლეებზე  $t = 0, 3$  და 6 საათზე. კონცენტრაცია მოცემულია ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ერთეულებში (ზდკ=0.5 მგ/მ<sup>3</sup>). ნახ.2-დან ჩანს, რომ დროის 0–6 სთ ინტერვალში ადგილი აქვს მტვრის კონცენტრაციის შემცირებას. მტვრის კონცენტრაცია, როცა  $t=0$  სთ, შედარებით მაღალია  $z=2$  მ სიმაღლეზე ქალაქის ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში მტვრის ხეობის გასწვრივ მდებარე ტერიტორიებზე. ამ ადგილებში კონცენტრაციის სიდიდე აღწევს 0.4 ზდკ-ს. მაღალი დამტვერიანების არედან დაშორებისას კონცენტრაცია თანდათანობით მცირდება და მისი მნიშვნელობა ქალაქის პერიფერიულ ნაწილებში ხდება 0.001 ზდკ-ს ტოლი. ქალაქის ატმოსფეროს თვითდასუფთავების პროცესი გრძელდება  $t = 6$  სთ–მდე. როცა  $t = 6$  სთ კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობა მცირდება 0.1 ზდკ-მდე. ამ მომენტში შედარებით მაღალი დამტვერიანების ადგილებია საავტომობილო მაგისტრალების ცალკეული მონაკვეთები - ოროგრაფული წინაღობებით შემოსაზღვრულ ადგილებში.

დღის 0–6 სთ ინტერვალში მტვრის ვერტიკალური განაწილება ხასიათდება თავისებურებით – კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობები 100 მ სიმაღლეზე მეტია, ვიდრე მაქსიმალური მნიშვნელობები 2 და 600 მ სიმაღლეებზე. ეფექტი, სავარაუდოდ, დაკავშირებულია დღის მეორე ნახევარში გამთბარი ჰაერის კონვექციურ მოძრაობასთან. გამთბარი ჰაერის მასა თან წარიტაცებს მტვრის მასას და იწვევს მის დაგროვებას მიწისპირა ფენის ზედა საზღვრის მიდამოებში. შედეგად, როცა  $t = 0$  სთ, ქალაქის ცენტრალური ნაწილის თავზე 100 მ სიმაღლეზე, კონცენტრაციის მნიშვნელობა აღწევს 0.7 ზდკ-ს. დროის სვლასთან ერთად სუსტდება კონვექციური მოძრაობა, დიფუზიური და ადვექციური გადატანის შედეგად თანდათანობით მცირდება დამტვერიანების დონე და როცა  $t = 6$  სთ მტვრის მაქსიმალური კონცენტრაციის სიდიდე მცირდება 0.1 ზდკ-მდე




ნახ. 2. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 0, 3$  და 6 სთ მიწის ზედაპირიდან 2, 100 და 600 მ სიმაღლეებზე

$t = 6$  სთ-ის შემდეგ, ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის სწრაფ ზრდასთან ერთად იზრდება ატმოსფეროში მოხვედრილი მტვრის რაოდენობა. ადგილი აქვს ქალაქის ატმოსფეროს სწრაფ დაბინძურებას. როცა  $t = 9$  სთ მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეზე მტვრის კონცენტრაციები იზრდება უშუალოდ დამაბინძურებელი წყაროს მიდამოებში და მათ სიახლოვეს – ავტომაგისტრალების გასწვრივ (ნახ.3). კონცენტრაციის მიღებული განაწილება, ანალოგიურია სუსტი აღმოსავლეთის ქარის დროს მიღებული განაწილების [8]. ამასთან არსებობს განსხვავებაც, კერძოდ, [8]-ში 2 მ სიმაღლეზე დილის 9 სთ-ზე, მაღალი დამტვერიანების არეები (0.9–1.5 ზდკ), სხვა უბნებთან ერთად, მდებარეობენ ქალაქის ცენტრში, გლდანის, დიდუბის თემების და დიდი დიდმის რაიონების მაგისტრალების მიდამოებში. დასავლეთის ფონური ქარის დროს კი ამ უბნებში მტვრის კონცენტრაციის მნიშვნელობები საგრძნობლად ნაკლებია და იცვლება 0.5–0.9 ზდკ ფარგლებში. მაღალი დამტვერიანების არეებად რჩება: ქალაქის ცენტრი, ვაკის, საბურთალოს და ორთაჭალის რაიონები. აღნიშნული განსხვავება სივრცულ განაწილებებს შორის დასავლეთის და აღმოსავლეთის სუსტი ფონური ქარების დროს გამოწვეულია ჰაერის ნაკადისა და რელიეფის ურთიერთქმედების ურთიერთსაწინააღმდეგო ეფექტთან ოროგრაფიული წინააღმდეგობის ქარპირა და ქარზურგა ნაწილებში.

9–დან 15 სთ-მდე პერიოდში მტვრის კონცენტრაცია მაქსიმალურია 9 სთ-ზე და ოდნავ მცირდება 12 – 15 სთ ინტერვალში. მაქსიმალური დამტვერიანების ზონებია საბურთალო, ვაკე, ორთაჭალა, გლდანის მასივისა და ვახტანგ გორგასლის გამზირის ცალკეული უბნები. მიწისპირა კონცენტრაციის ზრდას თან სდევს მისი ვერტიკალური დიფუზია ფორმირებული ლოკალური ჰორიზონტალური გრიგალის და კონვექციური მოძრაობის შედეგად. მიწის ზედაპირიდან 100 მ სიმაღლეზე კონცენტრაცია მაქსიმალურია დილის 9 სთ-ზე (0.6 ზდკ) და თანდათანობით მცირდება დროში.

დღის 15 სთ-ის შემდეგ,  $z = 2$  მ სიმაღლეზე, ფონური აღმოსავლეთის სუსტი ქარის შემთხვევისაგან განსხვავებით, იწყება დამტვერიანების ზრდის მეორე ეტაპი, რომელიც გრძელდება 21 სთ-მდე (ნახ. 4). დამტვერიანება იზრდება ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის 1 კმ სისქის არეში. ზრდა განსაკუთრებით ინტენსიურია მიწისპირა ფენის ქვედა ნაწილში ქალაქის ცენტრსა და პერიფერიებში მდებარე მაგისტრალების მიდამოებში. გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს სამხედრო გზისა და თბილისის გარშემოვლის მაგისტრალები. თბილისის ცენტრალურ ნაწილში 2 მ სიმაღლეზე მტვრის კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობა აღწევს და აჭარბებს კიდევ 2 ზდკ-ს.




ნახ. 3. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 9, 12$  და 15 სთ მიწის ზედაპირიდან 2, 100 და 600 მ სიმაღლეებზე

$t = 21$  სთ შემდეგ იწყება და გრძელდება დილის 6 სთ-მდე მიწისპირა კონცენტრაციის შემცირების ეტაპი. მიწისპირა კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობა (0.7 ზდკ) ემთხვევა  $t = 24$  სთ-ს, დროის შემდგომ მომენტებში კი იგი მცირდება 0.1 ზდკ-მდე.


მიწის ზედაპირიდან 100 მ სიმაღლეზე კონცენტრაციის ზრდის პროცესი უფრო ხანგრძლივია და გრძელდება  $t=24$  სთ-მდე. ამ დროს ინტენსიური ვერტიკალური კონვექციური გადატანის პროცესი იწვევს დამტვერიანების სწრაფ ზრდას 1.5 ზდკ-მდე 100 მ სიმაღლეზე.

ნახ. 5 - ზე მოცემულია მტვრის კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილება დროის სხვადასხვა მომენტებში. ნახ.5 - დან ჩანს მტვრის გავრცელების უპირატესი მიმართულებები და შესაბამისად, შეიძლება განვსაზღვროთ გადატანის გამომწვევი შესაბამისი დინამიკური პროცესები. შეიძლება დავასკვნათ, რომ ლოკალურ ცირკულაციურ პროცესებს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე დროის სხვადასხვა მომენტში შეიძლება ქონდეს სხვადასხვა ხასიათი - ადვექციური, კონვექციური ან ტურბულენტურ-დიფუზიური. შესაბამისად იცვლება მტვრის გავრცელების სახეც. გავრცელება არის: მიწისპირა სუსტი კონვექციური ( $t=9$ სთ,  $Y = 41.69^\circ$ ), განვითარებული კონვექციური ( $t = 24$  სთ,  $Y = 41.69^\circ$  და  $Y = 41.72^\circ$ ) და ადვექციურ-დიფუზიური ( $t=21$  სთ,  $Y = 41.77^\circ$ ). 0-50 მ ფენაში უპირატესია მტვრის კონვექციური გადატანის პროცესი, ხოლო 50 მ-ს ზევით კი ადვექციურ-დიფუზიური გადატანა.

დასკვნა. გამოკვლეულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის მიერ წარმოშობილი მტვრის ცვლილების კინემატიკა ფონური დასავლეთის სუსტი ქარის დროს. შესწავლილია მტვრის



ნახ. 4. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 18, 21$  და  $24$  სთ მიწის ზედაპირიდან 2, 100 და 600 მ სიმაღლეებზე



ნახ. 5. ერთი დღე-ღამის განმავლობაში მტვრის კონცენტრაციების (ზდკ) განაწილება ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში პარარელის გასწვრივ მდებარე სამ ვერტიკალურ სიბრტყეში (  $Y = 41.69^\circ$ ,  $Y = 41.72^\circ$  და  $Y = 41.77^\circ$  )

სივრცული განაწილების დღე-ღამური სურათი და გავრცელების თვისებურებები. მიღებულია, რომ ატმოსფეროში მტვრის კონცენტრაციის ცვლილების პროცესში, ძლიერად დამტვერიაანებულ უბნებში, შეიძლება გამოიყოს ოთხი ეტაპი: 21–6 სთ – ატმოსფეროს თვითდასუფთავების; 6–9 სთ – კონცენტრაციის სწრაფი ზრდის; 9–15 სთ – კონცენტრაციის სუსტი შემცირების ან მუდმივობის; 18–21 სთ - კონცენტრაციის ზრდის ეტაპები.

ქარის სიჩქარისა და კონცენტრაციის ველების ანალიზით მიღებულია, რომ ძლიერად დამტვერიაანებული არეების სივრცული განაწილება დამოკიდებულია, ერთის მხრივ ავტომაგისტრალების მდებარეობაზე და მეორეს მხრივ, რელიეფის დინამიკური ზემოქმედების და ქვეფენილ ზედაპირზე თერმიული რეჟიმის დღეღამური ცვლილებით ფორმირებულ ლოკალურ ცირკულაციურ სისტემებზე. აღმოჩენილია განსხვავებები, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ მტვრის სივრცულ განაწილებაში სუსტი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფონური ქარების დროს.

მადლიერება. სამეცნიერო კვლევა დაფინანსებული და შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის FR-18 -3667 გრანტის ფარგლებში.

## ლიტერატურა - REFERENCES- ЛИТЕРАТУРА

1. Kharchilava D.F., Lomaia O.V., Bukia G.N. The Conditions of Aerosols Formation and Accumulation in Cities. Proc. 3th Int. Aerosol Conf., Kyoto, Japan, Pergamon, vol. 2, 24-27 September, 1990, p. 986-989.
2. Amiranashvili A.G., Gzirishvili T.G. Aerosols and Ice Crystals in the Atmosphere. Tbilisi, Metsniereba, 1991, 113 p. (რუსულად).
3. Amiranashvili A.G., Chikhladze V.A., Kharchilava J.F., Buachidze N.S., Intskirveli L.N. Variations of the Concentrations of Dust, Nitrogen Oxides, Sulphur Dioxide and Ozone in the Surface Air in Tbilisi in 1981-2003, Proc. 16<sup>th</sup> International Conference on Nucleation&Atmospheric Aerosols, Kyoto, Japan, 26-30 July 2004, pp. 678-681.
4. ამირანაშვილი ა., ზღიაძე თ., ცხლაძე ვ. ფოტოქიმიური სმოგი თბილისში. მონოგრაფია. მიხ. ნოდია გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები. ნაწ.63, 2012, 160 გვ. ISSN 1512-1135.
5. Kirkitadze D., Nikiforov G., Chankvetadze A., Chkhaidze G. Some Results of Studies of Atmospheric Aerosols in M. Nodia Institute of Geophysics in the Recent Three Decades. Trans. of Mikheil Nodia Institute of Geophysics, ISSN 1512-1135, vol. 66, Tbilisi, 2016, pp. 178-185, (რუსულად).
6. ინჭკირველი ლ., გიგაური ნ., სურმავა ა., კუხალაშვილი ვ., მდივანი ს. PM-ნაწილაკებით და მტვრით ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გამოკვლევა. სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, შრომები, ტ. 7, თბილისი-თელავი, საქართველო, 26-28 სექტემბერი, 2020. გვ. 252-255. ISSN 1512-1976.
7. Surmava A., Intskirveli L., Kukhalashvili V., Gigauri G. Numerical Investigation of Meso- and Microscale Diffusion of Tbilisi Dust. Annals of Agrarian Science. 2020, pp. (იბეჭდება)
8. Surmava A., Kukhalashvili V., Gigauri N., Intskirveli L., Kordzakhia G. Numerical Modeling of Dust Propagation in the Atmosphere of a City with Complex Terrain. The Case of Background Eastern Light Air. Journal of Applied Mathematics and Physics. Vol. 8 No.7, 2020, pp. 1222-1228. <https://doi.org/10.4236/jamp.2020.87092>.
9. Kukhalashvili V., Kordzakhia G., Gigauri N., Surmava A., Intskirveli L. Numerical Modelling of Dust Propagation in the Atmosphere of Tbilisi City: I. The Case of Background Eastern Gentle Breeze. Journal of the Georgian Geophysical Society, v. 23(1), 2020, pp 46-50.
10. Kukhalashvili V., Gigauri N, Surmava A., Demetrashvili D., Intskirveli L. Numerical Modelling of Dust Propagation in the Atmosphere of Tbilisi City: II. The Case of Background Eastern Fresh Breeze. Journal of the Georgian Geophysical Society, v. 23(1), 2020, pp. 51 -56

### ქ. თბილისის ატმოსფეროში მტვრის გავრცელების რიცხვითი მოდელირება. I. დასავლეთის ფონური სუსტი ქარის შემთხვევა

#### სურმავა ა., ინჭკირველი ლ., გვერდნითელი ლ.

#### რ ე ზ ი უ მ ე

ატმოსფერული პროცესების ევოლუციის 3D რეგიონალური მოდელისა და მინარევების გადატანა - დიფუზიის განტოლების ერთობლივი ინტეგრირებით რიცხვობრივად მოდელირებული და გაანალიზირებულია მტვრის გავრცელება ქ.თბილისის ტერიტორიაზე დასავლეთის ფონური სუსტი ქარის დროს. ატმოსფეროს დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენს ქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალეებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი. გამოთვლებით მიღებულია, რომ მტვრის გავრცელების პროცესი პირობითად მიმდინარეობს ოთხ ეტაპად და დამოკიდებულია ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობაზე, მაგისტრალეების მდებარეობაზე და ქალაქის მიკრო-რელიეფზე. კონკრეტულად, დილის 6-დან 9 სთ-მდე ინტერვალში ადგილი აქვს კონცენტრაციის სწრაფ ზრდას, 9-დან 18 სთ -მდე – კონცენტრაციის სუსტ შემცირებას ან მუდმივობას, 18 –21 სთ-ის ინტერვალში კონცენტრაციის ზრდას, ხოლო 21-დან დილის 6 სთ-მდე - ქალაქის ჰაერის თვითდასუფთავებას, რომლის



დროსაც კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობა მცირდება 0.1 ზდკ - მდე. მაღალი დამტვერია-  
ნების ზონები მდებარეობენ ცენტრალურ, ზოგიერთ პერიფერიულ ტერიტორიებზე და ქალაქის სამ-  
ხრეთ ნაწილში, სადაც კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობები 21.00 სთ-ისთვის აღწევს 2  
ზდკ-ს.

საკვანძო სიტყვები: რიცხვითი მოდელირება, დაბინძურების წყარო, მტვრის გავრცელება,  
დასავლეთის ფონური ქარი

## **NUMERICAL SIMULATION OF THE TBILISI CITY AIR POLLUTION BY DUST :**

### **I. THE CASE OF WESTERN BACKGROUND LIGHT AIR**

**Surmava A., Intskirveli L., Gverdtsiteli L.**

#### **A b s t r a c t**

Dust propagation at Tbilisi city territory in case of light background western wind is studied using the 3D regional model of atmospheric processes evolution and integration of the equation of admixtures transfer-diffusion. In the model, motor transport is considered as a main nonstationary source of pollution from which dust is emitted into the atmosphere. By numerical modeling are shown that the process of air pollution by dust proceeds in four stages and is depend on the intensity of motor traffic, the micro-relief of the city and the location of motorways. Heavily contaminated areas are located around the center and in some peripheral areas of the city, where dust concentration values reach 2 MPC.

## **ЧИСЛЕННОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ РАСПРОСТРАНЕНИЯ ПЫЛИ В АТМОСФЕРЕ Г. ТБИЛИСИ:**

### **I. СЛУЧАЙ ЗАПАДНОГО ФОНОВОГО СЛАБОГО ВЕТРА**

**Сурмава А., Инцкирвели Л., Гвердцители Л.**

#### **Реферат**

Исследовано распространение пыли на территории города Тбилиси при слабом фоновом западном ветре с использованием региональной трехмерной модели эволюции атмосферных процессов 3D и интегрирования уравнения переноса-диффузии примесей. В модели автомобильный транспорт рассматривается как основной нестационарный источник загрязнения, от которого в атмосферу выбрасывается пыль. Путем численного моделирования показано, что процесс загрязнения атмосферного воздуха пылью протекает в четыре этапа и зависит от интенсивности автомобильного движения, микрорельефа города и расположения автомобильных магистралей. В интервале времени 06.00 - 09.00 часов - интенсивный рост, 09.00 - 18.00 - постоянство или слабое снижение, 18.00 - 21.00 - рост, а с 21.00 до 06.00 - уменьшение концентрации пыли. Сильно загрязненные зоны расположены вокруг центра города и на некоторой периферийной территории. Сильно загрязненные зоны расположены вокруг центра и на некоторых периферийных территориях города, где максимум концентрации пыли в 21.00 равен 2 ПДК.

## ქ. თბილისის ატმოსფეროში მტვრის გავრცელების რიცხვითი მოდელირება.

### II. დასვლეთის ფონური საშუალო სიძლიერის ქარის შემთხვევა

<sup>1,2</sup>სურმავა ა., <sup>2</sup>ინსკირველი ლ., <sup>3</sup>გვერდნითელი ლ.

<sup>1</sup>ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდია გეოფიზიკის  
ინსტიტუტი

<sup>2</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

<sup>3</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
*aasurmava@yahoo.com; intskirvelebi2@yahoo.com*

1. შესავალი. თბილისი, სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი, საქართველოს ადმინისტრაციული და ტურისტული ცენტრია. შესაბამისად, მისი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვა მეტად მნიშვნელოვანი ეკოლოგიური და სოციალური ამოცანაა. ქ.თბილისის ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის პრობლემისადმი მიძინილია მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. მათში ასახულია ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების ექსპერიმენტული [1-6] და თეორიული კვლევების შედეგები [7-11].

სტატიაში გრძელდება კვლევების ციკლი, რომლის მიზანია თეორიულად შეისწავლოს ქ.თბილისის ატმოსფერული ჰაერის დამტვერიანების მექანიზმი და თავისებურებანი სხვადასხვა მეტეოროლოგიურ სიტუაციებში, იმისათვის, რომ დამუშავდეს დაბინძურების დიაგნოსტიკური პროგნოზი და ატმოსფერული ჰაერის დაცვის პრაქტიკული ღონისძიებანი.

#### 2. ამოცანის დასმის მოკლე აღწერა

ქ. თბილისის ატმოსფეროს დამტვერიანების თეორიული შესწავლისათვის გამოიყენება კავკასიაში ატმოსფერული პროცესების განვითარების და დამაბინძურებელი ინგრედიენტების გავრცელების მეზომასტაბის რიცხვითი მოდელი [7, 8]. მოდელის რეალიზაციის არეს წარმოადგენს ქ. თბილისის და მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერო. ტერიტორიის ფართობი  $30.6 \times 24$  კმ<sup>2</sup> -ია. ქალაქის რთული რელიეფის პირობებში ატმოსფეროს დინამიკური ველების და მეტეოროლოგიური პარამეტრების მათემტიკურად კორექტული აღწერისათვის გამოყენებულია რელიეფის მიმყოლი კოორდინატთა სისტემა  $(t, x, y, \zeta = (z - \delta)/h)$ . აქ  $t$  დროა,  $x$  და  $y$  პარალელისა და მერიდიანის გასწვრივ მიმართული კოორდინატებია,  $\zeta$  რელიეფის ზედაპირისადმი მართობულად მიმართული განუზომადი ვერტიკალური კოორდინატაა,  $\delta(x, y)$  რელიეფის სიმაღლეა ზღვის დონიდან,  $h = H - \delta$  ტროპოსფეროს სისქეა,  $H(t, x, y)$  -ტროპოპაუზის სიმაღლეა ზღვის დონიდან.

არჩეულ კოორდინატთა სისტემაში მტვრის კონცენტრაციის ცვლილების განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით [8, 9]

$$\frac{\partial C}{\partial t} + u \frac{\partial C}{\partial x} + v \frac{\partial C}{\partial y} + (\tilde{w} - \frac{w_0}{h}) \frac{\partial C}{\partial z} = \mu \left( \frac{\partial^2 C}{\partial x^2} + \frac{\partial^2 C}{\partial y^2} \right) + \frac{1}{h^2} \frac{\partial}{\partial z} v \frac{\partial C}{\partial z} + F, \quad (1)$$

სადაც,  $C$  ინგრედიენტის კონცენტრაციაა:  $u$ ,  $v$ ,  $w$  და  $\tilde{w}$  ქარის სიჩქარის მდგენელებია  $x$ ,  $y$ ,  $z$  და  $z$  ღერძების გასწვრივ;  $w_0$  მტვრის დალექვის სიჩქარეა. ის გამოითვლება სტოკსის ფორმულით.  $F(t, x, y, z)$  ცნობილი ფუნქციაა და ასახავს მტვრის წყაროების მიერ მტვრის გაფრქვევის სიჩქარეს.  $\mu$  და  $\nu$  - ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტობის კოეფიციენტებია. ქარის სიჩქარის მდგენელები და ტურბულენტობის კოეფიციენტები თავისუფალ ატმოსფეროსა და ატმოსფეროს 100 მ სისქის მიწისპირა ფენაში გამოითვლება [9] -ში მოცემული განტოლებების რიცხვითი ინტეგრირებით.

(1) განტოლება ინტეგრირდება როგორც თავისუფალ ატმოსფეროში, ასევე ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში შესაბამისი საწყისი და სასაზღვრო პირობებით. გამოთვლები ჩატარებულია მართკუთხა რიცხვით ბადეზე 300 და 400 მ ჰორიზონტალური ბიჯით პარალელისა და მერიდიანის გასწვრივ. ვერტიკალური ბიჯი თავისუფალ ატმოსფეროში ტოლია 1/31, ატმოსფეროს მიწისპირა 100 მ სისქის არეში ვერტიკალური ბიჯი იცვლება 0.5 -დან 15 მ-მდე. დროითი ბიჯი 1 წმ-ია. გამოთვლები ჩატარებულია 3 დღე-ღამის პერიოდისათვის.

განხილულია იენისის თვეში მშრალი ამინდის პირობებში დასავლეთის ფონური სტაციონალური საშუალო სიმძლავრის ქარის შემთხვევა. ფონური ქარის სიჩქარე იცვლება 5 მ/წმ-დან 2 მ სიმძლავრეზე 25 მ/წმ-მდე ტროპოპაუზის დონეზე. ატმოსფეროს ფარდობითი ტენიანობა 50%-ია.


დაშვებულია, რომ ატმოსფეროს აბინძურებს მტვერი, რომელიც წარმოიშვება ქალაქის მაგისტრალზე და ქუჩებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. მისი ოდენობა იცვლება დროში და განსაზღვრულია სტაციონალური დაკვირვების მასალების მონაცემების და ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის შეფასების საშუალებით. დაბინძურების წყაროები მდებარეობენ ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე და ურბანიზირებულ ტერიტორიებზე [9].

### 3. რიცხვითი მოდელირების შედეგები

ნახ. 1- ზე ნაჩვენებია გამოთვლებით მიღებული მტვრის კონცენტრაციის და ქარის სიჩქარის სივრცული განაწილება მიწის ზედაპირიდან 2, 100 და 600 მ სიმაღლეებზე დღის  $t = 3$  და 6 საათებზე. კონცენტრაცია მოცემულია ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ერთეულებში ( $\text{ზდკ}=0.5 \text{ მგ/მ}^3$ ), ქარის სიჩქარე - მ/წმ-ში. ნახ. 1-დან ჩანს, რომ ქვეფენილი ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეზე დამტვერიანება ღამის 3 სთ-დან თანდათანობით მცვირდება და ხდება მინიმალური დღის 6 სთ-ისთვის. ამ დროს ქალაქისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე კონცენტრაციის მნიშვნელობა იცვლება 0.001 -დან 0.1 ზდკ-ინტერვალში. კონცენტრაცია 0.1 ზდკ მიღებულია ქალაქის ზოგიერთ მაგისტრალზე დიდუბის და ორთაჭალის რაიონებში, თბილისის ზღვის და გარს შემომვლელი გზების ცალკეულ მონაკვეთებზე და სხვ. 100 და 600 მ სიმაღლეებზე კონცენტრაცია ნაკლებად ცვალებადია. მისი მნიშვნელობა ატმოსფეროს 600 მ სისქის ფენაში იცვლება 0.001-0.2 მგ/მ<sup>3</sup> ფარგლებში.


დღის 3-6 სთ ინტერვალში მტვრის ვერტიკალური განაწილება ხასიათდება თავისებურებით - კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობები 100 მ სიმაღლეზე მეტია, ვიდრე მაქსიმალური მნიშვნელობები 2 და 600 მ სიმაღლეებზე. ეფექტი, სავარაუდოდ დაკავშირებულია დღის მეორე ნახევარში გამთბარი ჰაერის კონვექციურ მოძრაობასთან. გამთბარი ჰაერის მასა თან წარიტაცებს მტვრის მასას და იწვევს მის დაგროვებას მიწისპირა ფენის ზედა საზღვრის

მიდამოებში. შედეგად, დროის სვლასთან ერთად სუსტდება კონვექციური მოძრაობა, დიფუზიური და ადვექციური გადატანის შედეგად თანდათანობით მცირდება დამტვერიანების დონე და როცა  $t = 6$  სთ, მტვრის მაქსიმალური კონცენტრაციის სიდიდე მცირდება 0.1 ზდკ-მდე მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეზე.



ნახ. 1. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 9, 12$  და  $15$  სთ მიწის ზედაპირიდან  $2, 100$  და  $600$  მ სიმაღლეებზე


ნახ. 2-ზე ნაჩვენებია გამოთვლებით მიღებული მტრის კონცენტრაციის სივრცული განაწილება დილის 9-დან 15 სთ-მდე პერიოდში. ნახ. 2-დან ჩანს, რომ კონცენტრაციის ველის დროში ცვლილება ანალოგიურია სუსტი დასავლეთის ფონური სუსტი ქარის დროს მიღებული ცვლილების [11]. განსხვავება მდგომარეობს გაზრდილი კონცენტრაციების არეების სხვადასხვა მდებარეობაში და მტვრის კონცენტრაციის მნიშვნელობებში. დამტვერიანების დონე, ატმოსფეროს მიწისპირა და სასაზღვრო ფენებში, როცა  $t = 9$  სთ, მეტია 12 და 15 სთ-ისთვის მიღებულ დამტვერიანების დონეზე. როცა  $t = 9$  სთ მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეზე მტვრის კონცენტრაციები მაქსიმალურია ზოგიერთი ავტომაგისტრალისა და მოედნის მიდამოებში (ნახ. 2), ნახ. 3-ზე ნაჩვენებია მტვრის სივრცული განაწილება გაზრდილი დეტალიზაციით მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეზე როცა,  $t = 9$  სთ. ნახ. 2 და 3-დან ჩანს, რომ კონცენტრაციის გაზრდილი მნიშვნელობები მიღებულია საბურთლოს (პეკინის და კოსტავას ქუჩები), ვაკის (მელიქიშვილის გამზირი) ნაძალადევის (დ. გურამიშვილის გამზირი) რაიონის მიდამოებში, ორთაჭალაში (ვ. გორგასლის და მოსკოვის გამზირების ცალკეულ უბნებში), ნაძალადევაში (ქ. დედოფლის გამზირი), თბილისის ზღვის ირგვლივ მდებარე ქუჩებზე, ასევე მაგისტრალების გადაკვეთის მიდამოებში არსებულ მოედნებზე და სხვა წერტილებში. აღნიშნულ ტერიტორიებზე კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობები 1 ზდკ-ის ფარგლებშია.



ნახ. 2. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 9, 12$  და  $15$  სთ მიწის ზედაპირიდან  $2, 100$  და  $600$  მ სიმაღლეებზე

9 სთ-ის შემდეგ ხდება მოძრაობის ინტენსივობის შემცირება, რასაც თან ახლავს მტვრის მიწისპირა კონცენტრაციის კლება მაღალი დამტვერიანების უბნებში და გაზრდა შედარებით ნაკლებად დამტვერიანებულ საბურთალოსა და ვაკის რაიონებში (ვ. ფშაველას და ი. ჭავჭავაძის გამზირები). ფონური საშუალო სიმძლავრის ქარის დროს მტვრის კონცენტრაციის მნიშვნელობები მიწის ზედაპირიდან  $100$  და  $600$  მ სიმაღლეებზე ნაკლებია, ფონური სუსტი ქარის დროს მიღებულ კონცენტრაციებზე [11]. აღნიშნული დაკავშირებულია საშუალო სიმძლავრის ქარის დროს მტვრის ადვექციური გავრცელების პროცესის წვლილის ზრდასთან და მის გატანასთან ქალაქის ფარგლების გარეთ.

დღის  $15$  სთ-ის შემდეგ,  $z = 2$  მ სიმაღლეზე, ფონური აღმოსავლეთის სუსტი ქარის შემთხვევისაგან განსხვავებით, იწყება დამტვერიანების ზრდის მეორე ეტაპი, რომელიც გრძელდება  $21$  სთ-მდე, როდესაც დგება ქალაქის ატმოსფეროს მაქსიმალური დამტვერიანების მდგომარეობა (ნახ. 4 და 5). დამტვერიანება იზრდება ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის  $1$  კმ სისქის ფენაში. ზრდა განსაკუთრებით ინტენსიურია მიწისპირა ფენის ქვედა ნაწილში ქალაქის ცენტრსა და პერიფერიებში მდებარე მაგისტრალების მიდამოებში. გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის გარშემოვლის მაგისტრალი. თბილისის ცენტრალურ ნაწილში და მაგისტრალზე კონცენტრაციის მნიშვნელობები  $2$  მ სიმაღლეზე  $1-1.5$  ზდკ-ს ფარგლებშია, ხოლო  $100$  მ სიმაღლეზე მოედნებზე და მაგისტრალების ზოგიერთ მონაკვეთებში აჭარბებს კიდევ  $2$  ზდკ-ს (ნახ. 5).




ნახ. 3. მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 9$  სთ მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეებზე (ღერძებზე ნაჩვენებია რიცხვითი ბადის წერტილების მნიშვნელობები)


$t = 21$  სთ შემდეგ იწყება მტვრის კონცენტრაციის შემცირების ეტაპი და გრძელდება მომდევნო დღის დილის 6 სთ-მდე. დასავლეთის სუსტი ფონური ქარისაგან განსხვავებით, შემცირება მიმდინარეობს ერთდროულად, როგორც უშუალოდ ქვეყნილი ზედაპირის სიახლოვეს, ასევე მთელი ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში. ამ დროს, ქარის სიჩქარის მომატებული სიდიდის გამო, უფრო ინტენსიური ხდება მტვრის ადვექციური გადატანის, დიფუზიური გავრცელების და ქალაქის განიავების პროცესი. შედეგად, დამტვერიანების დონე სწრაფად მცირდება და კონცენტრაციის მნიშვნელობა როცა  $t = 24$  სთ, არ აღემატება 0.3 ზდკ-ს.

ნახ. 6-ზე მოცემულია მტვრის კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილება დროის სხვადასხვა მომენტში. ნახ. 6-დან ჩანს, რომ ვერტიკალურ განაწილებაში, [11]-საგან განსხვავებით, ნაკლებადა გამოხატული „მტვრის კონვექციური ღრულის“ მსგავსი წარმონაქმნი. აღნიშნული შეიძლება აიხსნას ტურბულენტური დიფუზიის გაზრდილი წვლილით მტვრის გავრცელების პროცესში.


დასკვნა. გამოკვლეულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის მიერ წარმოშობილი მტვრის ცვლილების კინემატიკა ფონური დასავლეთის სუსტი ქარის დროს. შესწავლილია მტვრის სივრცული განაწილების დღე-ღამური სურათი და გავრცელების თვისებურებები. მიღებულია, რომ ძლიერად დამტვერიანებულ უბნებში, მტვრის გავრცელების პროცესში შეიძლება გამოიყოს ოთხი ეტაპი: 21–6 სთ – ატმოსფეროს თვითდასუფთავების ეტაპი; 6–9 სთ – კონცენტრაციის სწრაფი ზრდის ეტაპი; 9–15 სთ – კონცენტრაციის სუსტი შემცირების ან მუდმივობის ეტაპი; 18–21 სთ – კონცენტრაციის ზრდის ეტაპი. ნაჩვენებია, რომ მტვრის მოდელირებით მიღებული კონცენტრაციების მნიშვნელობები დაკვირვებული მნიშვნელობების ფარგლებშია [6].



ნახ. 4. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 18, 21$  და  $24$  სთ მიწის ზედაპირიდან  $2, 100$  და  $600$  მ სიმაღლეებზე



ნახ. 5. მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 96$  სთ მიწის ზედაპირიდან  $2$  მ სიმაღლეზე (ღერძებზე ნაჩვენებების რიცხვითი ბადის წერტილების მნიშვნელობები)



ნახ. 6. მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში პარარელის გასწვრივ მდებარე სამ ვერტიკალურ სიბრტყეში ( $Y = 41.69^\circ$ ,  $Y = 41.72^\circ$  და  $Y = 41.77^\circ$ ) ერთი დღეღამის განმავლობაში

ქარის სიჩქარისა და კონცენტრაციის ველების ანალიზით მიღებულია, რომ ძლიერად დამტვერიანებული არეების სივრცული განაწილება დამოკიდებულია, ერთის მხრივ ავტომაგისტრალების მდებარეობაზე და მეორეს მხრივ, რელიეფის დინამიკური ზემოქმედების და ქვეფენილ ზედაპირზე თერმიული რეჟიმის დღეღამური ცვლილებით ფორმირებულ ლოკალურ ცირკულაციურ სისტემებზე. აღმოჩენილია განსხვავებები, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ მტვრის სივრცულ განაწილებაში სუსტი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფონური ქარების დროს.

*მადლიერება. სამეცნიერო კვლევა დაფინანსებული და შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის FR-18 -3667 გრანტის ფარგლებში.*

### ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Kharchilava D.F., Lomaia O.V., Bukia G.N. The Conditions of Aerosols Formation and Accumulation in Cities. Proc. 3th Int. Aerosol Conf., Kyoto, Japan, Pergamon, vol. 2, 24-27 September, 1990, p. 986-989.
2. Amiranashvili A.G., Gzirishvili T.G. Aerosols and Ice Crystals in the Atmosphere. Tbilisi, Metsniereba, 1991, 113 p. (რუსულად).
3. Amiranashvili A.G., Chikhladze V.A., Kharchilava J.F., Buachidze N.S., Intskirveli L.N. Variations of the Concentrations of Dust, Nitrogen Oxides, Sulphur Dioxide and Ozone in the Surface Air in Tbilisi in 1981-2003, Proc. 16<sup>th</sup> International Conference on Nucleation&Atmospheric Aerosols, Kyoto, Japan, 26-30 July 2004, pp. 678-681.



4. ამიარანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ. ფოტოქიმიური სმოგი თბილისში. მონოგრაფია. მიხ. ნოდია გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები. ნაწ.63, 2012, 160 გვ. ISSN 1512-1135.
5. Kirkitadze D., Nikiforov G., Chankvetadze A., Chkhaidze G. Some Results of Studies of Atmospheric Aerosols in M. Nodia Institute of Geophysics in the Recent Three Decades. Trans. of Mikheil Nodia Institute of Geophysics, ISSN 1512-1135, vol. 66, Tbilisi, 2016, pp. 178-185, (რუსულად).
6. ინწკირველი ლ., გიგაური ნ., სურმავა ა., კუხალაშვილი ვ., მდივანი ს. PM-ნაწილაკებით და მტვრით ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გამოკვლევა. სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, შრომები, ტ. 7, თბილისი-თელავი, საქართველო, 26-28 სექტემბერი, 2020. გვ. 252-255. ISSN 1512-1976.
7. Surmava A., Intskirveli L., Kukhalashvili V., Gigauri G. Numerical Investigation of Meso- and Microscale Diffusion of Tbilisi Dust. Annals of Agrarian Science. 2020, pp. (იბეჭდება)
8. Surmava A., Kukhalashvili V., Gigauri N., Intskirveli L., Kordzakhia G. Numerical Modeling of Dust Propagation in the Atmosphere of a City with Complex Terrain. The Case of Background Eastern Light Air. Journal of Applied Mathematics and Physics. Vol. 8 No.7, 2020, pp. 1222-1228. <https://doi.org/10.4-236/jamp.2020.87092>.
9. Kukhalashvili V., Kordzakhia G., Gigauri N., Surmava A., Intskirveli L. Numerical Modelling of Dust Propagation in the Atmosphere of Tbilisi City: I. The Case of Background Eastern Gentle Breeze. Journal of the Georgian Geophysical Society. 23, 2020. pp. 46-50.
10. Kukhalashvili V., Gigauri N., Surmava A., Demetrashvili D., Intskirveli L. Numerical Modelling of Dust Propagation in the Atmosphere of Tbilisi City: II. The Case of Background Eastern Fresh Breeze. Journal of the Georgian Geophysical Society. 23, 2020. pp.51-56.
11. ა. სურმავა, ლ. ინწკირველი, მ. გვერდნითელი. ქ. თბილისის ატმოსფეროში მტვრის გავრცელების რიცხვითი მოდელირება. I. დასავლეთის ფონური სუსტი ქარის შემთხვევა. (იბეჭდება მოცემულ შრომათა კრებულში).

**ქ. თბილისის ატმოსფეროში მტვრის გავრცელების რიცხვითი მოდელირება.**

**II. დასავლეთის ფონური საშუალო სიძლიერის ქარის შემთხვევა**

**სურმავა ა., ინწკირველი ლ., გვერდნითელი ლ.**

**რ ე ზ ი უ მ ე**

ატმოსფერული პროცესების ევოლუციის 3D რეგიონალური მოდელისა და მინარევების გადანა - დიფუზიის განტოლების ერთობლივი ინტეგრირებით რიცხვობრივად მოდელირებული და გაანალიზირებულია მტვრის გავრცელება ქ. თბილისის ტერიტორიაზე დასავლეთის ფონური საშუალო სიძლიერის ქარის დროს. დაშვებულია, რომ ატმოსფეროს დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენს ქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი. მოდელირებით მიღებულია მტვრის სივრცითი განაწილების სურათები დროის სხვადასხვა მომენტისათვის. ნაჩვენებია, რომ მტვრის განაწილება სივრცეში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დამაბინძურებელი წყაროების მდებარეობაზე და ქალაქის რელიეფზე. შესწავლილია დამტვერიანების ცვლილების თავისებურებანი და მისი დამოკიდებულება ფონური ქარის სიჩქარეზე. განსაზღვრულია მაქსიმალური დაბინძურების დამყარების დრო და ზონების განაწილება ქალაქის ტერიტორიაზე.

საკვანძო სიტყვები: რიცხვითი მოდელირება, დაბინძურების წყარო, მტვრის გავრცელება, დასავლეთის ფონური ქარი

**NUMERICAL MODELLING OF DUST PROPAGATION IN THE ATMOSPHERE OF TBILISI CITY:  
II. THE CASE OF WEASTERN BACKGROUND GENTLE BREEZE**

**Surmava A., Intskirveli L., Gverdtsiteli L.**

**A b s t r a c t**

Dust propagation at Tbilisi city territory in case of gentle background weastern wind is studied using the 3D regional model of atmospheric processes evolution and integration of the equation of admixtures transfer-diffusion. In the model, motor transport is considered as a main nonstationary source of pollution from which dust is emitted into the atmosphere. The patterns of spatial distribution of dust at different time moments were obtained by means of modeling. It is shown that the spatial distribution of dust significantly depends on the location of the pollution source and the relief of the city. The features of changes in dust content and its dependence on the background wind speed have been studied. The time of maximum pollution and distribution zones on the territory of the city have been established.

**ЧИСЛЕННОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ РАСПРОСТРАНЕНИЯ ПЫЛИ  
В АТМОСФЕРЕ Г. ТБИЛИСИ:  
II. СЛУЧАЙ ЗАПАДНОГО ФОНОВОГО СРЕДНЕГО ВЕТРА**

**Сурмава А., Инцкирвели Л., Гвердцители Л.**

**Р е ф е р а т**

Исследовано распространение пыли на территории города Тбилиси при среднем фоновом западном ветре с использованием региональной трехмерной модели развития атмосферных процессов 3D и интегрирования уравнения переноса-диффузии примесей. В модели автомобильный транспорт рассматривается как основной нестационарный источник загрязнения, от которого в атмосферу выбрасывается пыль. Путем моделирования получены картины пространственного распространения пыли в разные временные моменты. Показано, что пространственное распространение пыли значительно зависит от местонахождения источника загрязнения и рельефа города. Изучены особенности изменения запыленности и ее зависимость от скорости фонового ветра. Установлены время максимального загрязнения и зоны распределения на территории города.

**ქ. თბილისის ატმოსფეროში მტვრის გავრცელების  
რიცხვითი მოდელირება.  
III. დასვლეთის ფონური ძლიერი ქარის შემთხვევა**

**<sup>1,2</sup>სურმავა ა., <sup>2</sup>ინსკირველი ლ., <sup>3</sup>გვერდნითელი ლ.**

<sup>1</sup>ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდია გეოფიზიკის ინსტიტუტი

<sup>2</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

<sup>3</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
aasurmava@yahoo.com; intskirvelebi2@yahoo.com

1. შესავალი. სტატიაში გრძელდება [1-4]-ში ჩატარებული კვლევების ციკლი, რომლის მიზანია თეორიულად შეისწავლოს ქ.თბილისის ატმოსფეროში საავტომობილო ტრანსპორტის მიერ წარმოშობილი მტვრის გავრცელების თავისებურებანი სხვადასხვა მეტეოროლოგიური სიტუაციებში.

**2. ამოცანის დასმის მოკლე აღწერა**

ქ. თბილისის ატმოსფეროს დამტვერიანების თეორიული შესწავლისათვის გამოიყენება კავკასიაში ატმოსფერული პროცესების განვითარებისა და დამაბინძურებელ ინგრედიენტთა გავრცელების მეზომასშტაბის რიცხვითი მოდელი [5, 6]. მოდელის რეალიზაციის არეს წარმოადგენს ქ. თბილისის და მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერო. ტერიტორიის ფართობი 30.6×24 კმ<sup>2</sup> -ია. ქალაქის რთული რელიეფის პირობებში ატმოსფეროს დინამიკური ველების და მეტეოროლოგიური პარამეტრების მათემატიკურად კორექტული აღწერისათვის გამოიყენებულია რელიეფის მიმყოლი კოორდინატთა სისტემა (t, x, y, ζ = (z - δ)/h). აქ t დროა, x და y პარალელისა და მერიდიანის გასწვრივ მიმართული კოორდინატებია, ζ რელიეფის ზედაპირისადმი მართობულად მიმართულია დმი განუზომადი ვერტიკალური კოორდინატაა, δ(x, y) რელიეფის სიმაღლეა ზღვის დონიდან, h = H - δ ტროპოსფერს სისქეა, H(t, x, y) - ტროპოპაუზის სიმაღლეა ზღვის დონიდან.

არჩეულ კოორდინატთა სისტემაში მტვრის კონცენტრაციის ცვლილების განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\frac{\partial C}{\partial t} + u \frac{\partial C}{\partial x} + v \frac{\partial C}{\partial y} + (\tilde{w} - \frac{w_0}{h}) \frac{\partial C}{\partial \zeta} = \mu \left( \frac{\partial^2 C}{\partial x^2} + \frac{\partial^2 C}{\partial y^2} \right) + \frac{1}{h^2} \frac{\partial}{\partial \zeta} v \frac{\partial C}{\partial \zeta} + F, \quad (1)$$

სადაც, C ინგრედიენტის კონცენტრაციაა: u, v, w და  $\tilde{w}$  ქარის სიჩქარის მდგენელებია x, y, z და ζ ღერძების გასწვრივ;  $w_0 = 1$  სმ/წმ მტვრის დალექვის სიჩქარეა. F(t, x, y, ζ) ცნობილი ფუნქციაა და ასხავს წყაროების მიერ მტვრის გაფრქვევის სიჩქარეს.  $\mu$  და  $v$  - ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტობის კოეფიციენტებია. ქარის სიჩქარის მდგენელები და ტურბულენტობის კოეფიციენტები თავისუფალ ატმოსფეროსა და ატმოსფეროს 100 მ სისქის მიწისპირა ფენაში გამოითვლება [7, 8]-ში მოცემული განტოლებების რიცხვითი ინტეგრირებით.

(1) განტოლება ინტეგრირდება თავისუფალ ატმოსფეროში და ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში შესაბამისი საწყისი და სასაზღვრო პირობებით. გამოთვლები ჩატარებულია მართკუთხა რიხვით ბადეზე 300 და 400 მ ჰორიზონტალური ბიჯებით პარალელისა და მერიდიანის გასწვრივ. ვერტიკალური ბიჯი თავისუფალ ატმოსფეროში ტოლია 1/31, ატმოსფეროს მიწისპირა 100 მ სისქის არეში ვერტიკალური ბიჯი იცვლება 0.5 მ-დან 15 მ-მდე. დროითი ბიჯი 1 წმ-ია. გამოთვლები ჩატარებულია 3 დღე-ღამის პერიოდისათვის.


განხილულია ივნისის თვეში მშრალი ამინდის პირობებში დასავლეთის ფონური სტაციონალური საშუალო სიმძლავრის ქარის შემთხვევა. ფონური ქარის სიჩქარე იცვლება 10 მ/წმ-დან 100 მ სიმძლავრეზე 30 მ/წმ-მდე ტროპოპაუზის დონეზე. ატმოსფეროს ფარდობითი ტენიანობა 50%-ია.

დაშვებულია, რომ ატმოსფეროს აბინძურებს მტვერი, რომელიც წარმოიშვება ქალაქის მაგისტრალზე და ქუჩებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. მისი ოდენობა იცვლება დროში და განსაზღვრულია სტაციონალური დაკვირვების მასალების მონაცემების და ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის შეფასებით.


დაბინძურების წყაროები მდებარეობენ ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე და ურბანიზირებულ ტერიტორიებზე [9].

### 3. რიხვითი მოდელირების შედეგები

ნახ. 1- ზე ნაჩვენებია გამოთვლებით მიღებული მტვრის კონცენტრაციის და ქარის სიჩქარის სივრცული განაწილება მიწის ზედაპირიდან 2, 100 და 600 მ სიმაღლეებზე დღის  $t = 0, 3$  და 6 სთ. კონცენტრაცია მოცემულია ერთჯერად ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ერთეულებში (ზდკ=0.5 მგ/მ<sup>3</sup>), ქარის სიჩქარე - მ/წმ-ში. ნახ. 1-დან ჩანს, რომ ქვეფენილი ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეზე დამტვერიანების დონე ძალიან დაბალია და კონცენტრაციის სიდიდე ზოგიერთი მაგისტრალის და მოედნების მიდამოებში იცვლება 0.001-0.1 ზდკ-ს ფარგლებში. უფრო მაღალ დონეებზე მტვრის კონცენტრაცია მიღებულია მხოლოდ მტვრის კვალის სახით, რომელშიც კონცენტრაციის სიდიდეები 0.0001 ზდკ-ს ჯერადია. დროის განხილულ ინტერვალში ავტომობილების მოძრაობის ინტენსივობა მინიმალურია ხოლო ძლიერ ქარს გააქვს ამოფრქვეული მტვერი ქალაქის ფარგლებიდან და ასუფთავებს ატმოსფეროს.




ნახ. 1. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 0, 3$  და 6 სთ მიწის ზედაპირიდან 2, 100 და 600 მ სიმაღლეებზე



ნახ. 2. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და მტვერის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 9, 12$  და  $15$  სთ მიწის ზედაპირიდან  $2, 100$  და  $600$  მ სიმაღლეებზე

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია გამოთვლებით მიღებული მტრის კონცენტრაციის სივრცული განაწილება დილის 9-დან 15 სთ-მდე პერიოდში. ნახ. 2-დან ჩანს, რომ კონცენტრაციის ველის დროში ცვლილებისა და სივრცული განაწილების სურათები თვისობრივად მსგავსია სუსტი და საშუალო სიდიდის ქარების შემთხვევაში მიღებული სურათების: დამტვერიანებას ადგილი აქვს მთავარი ავტომაგისტრალებისა და მათ მიმდებარე ტერიტორიების მიდამოებში [3, 4]. ძირითადი განსხვავება რაოდენობრივია – კონცენტრაციის მნიშვნელობები დაახლოებით 2 ჯერ ნაკლებია [3, 4]-ში მიღებულ კონცენტრაციებზე. კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობები არ აჭარბებს 1 ზდკ-ს და ისინი მიღებულია არა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და ძირითად ანტროპოგენულად დატვირთულ ტერიტორიებზე, არამედ მხოლოდ ქალაქის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში – თბილისის ზღვის ირგვლივ, კახეთის გზატკეცილისა და ფონიჭალის მიდამოებში (ნახ. 3). ნახ.3-ზე ნაჩვენები განაწილება ფორმირებულია ქარის ადვექციური გადატანის უპირატესობით დიფუზიურთან შედარებით. ამ დროს ქარის მომატებული სიჩქარე ძლევს ოროგრაფიულ დაბრკოლებას და მტვერი ქალაქის ჩაღრმავებული ცენტრალური და დასავლეთი ტერიტორიებიდან გადააქვს აღმოსავლეთით შემადლებულ ტერიტორიაზე. რაც შეეხება დამტვერიანებას ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის ქვედა ნაწილში, მტვერი 100 მ სიმაღლეზე გავრცელებულია მოდელირების თითქმის მთელ არეში ქარის სიჩქარის მიმართულებით და კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობები არ აჭარბებენ 0.3 ზდკ-ს. მიწის ზედაპირიდან 600 მ სიმაღლეზე მტვერი გავრცელებულია დინების მიმართულებით ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის თავზე.




ნახ. 3. მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) დეტალიზირებული განაწილება, როცა  $t = 9$  სთ მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეებზე (ღერძებზე ნაჩვენებია რიცხვითი ბადის წერტილები)


$t = 9$  სთ ის შემდეგ  $t = 18$  სთ-მდე, ადგილი აქვს მტვრის კონცენტრაციების მცირე ზრდას ვაკე-საბურთალოს რაიონის მიდამოებში (ნახ. 2 და 3). მტვრის კონცენტრაციის ზრდა უფრო შესამჩნევია გლდანის – თემქის, ორთაჭალის რაიონების ტერიტორიების და თბილისის ზღვის მიდამოებში. ამ რაიონებში კონცენტრაციების მნიშვნელობები აღწევენ 1 ზდკ-ს. მდ. მტკვრის გასწვრივ, ქალაქის ჩრდილო - აღმოსავლეთ ნაწილში (ფონური სუსტი და საშუალო სიმძლავრის ქარების შემთხვევებისაგან განსხვავებით) მტვრის კონცენტრაცია დაბალია და მისი მაქსიმალური მნიშვნელობა 0.5 ზდკ-ს ფარგლებშია.

$t = 18-21$  სთ ინტერვალში მყარდება მტვრის კონცენტრაციის დაახლოებით კვაზისტატისკური განაწილება, რომელსაც თან ახლავს კონცენტრაციის მცირე შემცირება ვაკე-საბურთალოს და ქალაქის ცენტრალურ რაიონებში (ნახ. 4-6).  $t = 24$  სთ კონცენტრაციის შემცირება უფრო ინტენსიურია ქალაქის ცენტრში, სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში. ნაკლებად ინტენსიურად მცირდება მტვერი გლდანის, თბილისის ზღვის მიდამოებში და ზოგიერთ მცირე ზომის ტერიტორიებზე (ნახ. 7). გამოთვლებით მიღებული მტვრის მაქსიმალური კონცენტრაციების მნიშვნელობები ამ ადგილებში 0.1–0.2 ზდკ-ს ფარგლებშია.


რაც შეეხება მტვრის ვერტიკალურ განაწილებას მთელი დღის განმავლობაში (9-დან 24 სთ-მდე) ატმოსფეროს 600 მ სისქის ფენაში მტვრის კონცენტრაციის მნიშვნელობები არ აღემატება 0.1 – 0.3 ზდკ-ს (ნახ. 2 და 4).




ნახ. 4. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 18, 21$  და  $24$  სთ მიწის ზედაპირიდან  $2, 100$  და  $600$  მ სიმაღლეებზე



ნახ. 5. მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 18$  სთ მიწის ზედაპირიდან  $2$  მ სიმაღლეებზე (ღერძებზე ნაჩვენებია რიცხვითი ბადის წერტილების მნიშვნელობები)



ნახ. 6. მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 21$  სთ მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეებზე (ღერძებზე ნაჩვენებია რიცხვითი ბადის წერტილების მნიშვნელობები)



ნახ. 7. მტვრის კონცენტრაციის (ზდკ) განაწილება, როცა  $t = 21$  სთ მიწის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეებზე (ღერძებზე ნაჩვენებია რიცხვითი ბადის წერტილების მნიშვნელობები)

ნახ. 8-ზე მოცემულია მტვრის კონცენტრაციის ვერტიკალური განაწილება დროის სხვადასხვა მომენტებში. ნახ. 6-დან ჩანს, რომ ვერტიკალურ განაწილებაში, [3, 4]-საგან განსხვავე-




ბით, ნაკლებადაა გამოხატული „მტვრის კონვექციური ღრუბლის მსგავსი წარმონაქმნი. აღნიშნული შეიძლება აიხსნას ადვექციური გადატანის უპირატესობით ტურბულენტურ- დიფუზიური და კონვექციური გარდაქმნის პროცესებთან შედარებით.

4. დასკვნა. გამოკვლეულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის მიერ წარმოშობილი მტვრის კონცენტრაციის ცვლილების კინემატიკა ფონური დასავლეთის ძლიერი ქარის დროს. შესწავლილია მტვრის სივრცული განაწილების დღეღამური სურათი და გავრცელების თვისებურებები. მიღებულია, რომ მტვრის ცვლილების პროცესში, ძლიერად დამტვერიანებულ უბნებში, შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი: 21 სთ-დან მომდევნო დღის 6 სთ – ატმოსფეროს თვითდასუფთავების ეტაპი; 6–9 სთ – კონცენტრაციის სწრაფი ზრდის ეტაპი; 9–დან 21 სთ-მდე კვაზისტატიკური განაწილების ეტაპი.

ქარის სიჩქარისა და კონცენტრაციის ველების ანალიზით მიღებულია, რომ ქარის სიჩქარის გაზრდამ გამოიწვია მტვრის დიფუზიის სიჩქარის გაზრდა და მტვრის ინტენსიური გატანა ქალაქის ტერიტორიებიდან.

მოდელში გათვალისწინებულია დამტვერიანების მხოლოდ ერთი წყარო – ავტოტრანსპორტი, და არ არის გათვალისწინებული დამტვერიანების სხვა წყაროები,



ნახ. 8. მტვრის კონცენტრაციების (ზდგ) განაწილება ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში პარალელის გასწვრივ მდებარე სამ ვერტიკალურ სიბრტყეში (  $Y= 41.69^{\circ}$ ,  $Y=41. 72^{\circ}$  და  $Y=41. 77^{\circ}$ ) ერთი დღე-ღამის განმავლობაში

ისეთების როგორცაა, ნიადაგზე, შენობების სახურავებზე და სხვა ქვეფენილ ზედაპირზე დაფენილი მტვერი. თუ ამ წყაროებიდან ატმოსფეროში ატაცებული მტვრის ოდენობა სუსტი და საშუალო სიძლიერის ქარების შემთხვევაში შეიძლება იყოს უგულველყოფილი, როგორც მცირე, ძლიერი ქარის შემთხვევაში მათი გავლენა სავარაუდოდ იქნება მნიშვნელოვანი და შეცვლის მტვრის სივრცული განაწილების სურათს. აღნიშნული პრობლემა უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდგომ კვლევებში.

მადელიერება. სამეცნიერო კვლევა დაფინანსებული და შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის FR-18 -3667 გრანტის ფარგლებში.

## ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Kukhalashvili V., Kordzakhia G., Gigauri N., Surmava A., Intskirveli L. Numerical Modelling of Dust Propagation in the Atmosphere of Tbilisi City: I. The Case of Background Eastern Gentle Breeze. Journal of the Georgian Geophysical Society. 23, 2020. pp. 46-50.
2. Kukhalashvili V., Gigauri N., Surmava A., Demetrashvili D., Intskirveli L. Numerical Modelling of Dust Propagation in the Atmosphere of Tbilisi City: II. The Case of Background Eastern Fresh Breeze. Journal of the Georgian Geophysical Society. 23, 2020. pp.51-56.
3. ა. სურმავა, ლ. ინწკირველი, მ. გვერდნითელი. ქ. თბილისის ატმოსფეროში მტვრის გავრცელების რიცხვითი მოდელირება. I. დასავლეთის ფონური სუსტი ქარის შემთხვევა. (იბეჭდება მოემულ შრომათა კრებულში).
4. ა. სურმავა, ლ. ინწკირველი, მ. გვერდნითელი. ქ. თბილისის ატმოსფეროში მტვრის გავრცელების რიცხვითი მოდელირება. II. დასავლეთის ფონური სუსტალი სიმლაგრის ქარის შემთხვევა. (იბეჭდება მოემულ შრომათა კრებულში).
5. Surmava A., Intskirveli L., Kukhalashvili V., Gigauri G. Numerical Investigation of Meso- and Microscale Diffusion of Tbilisi Dust. Annals of Agrarian Science. 2020, pp. (იბეჭდება)
6. Surmava A., Kukhalashvili V., Gigauri N., Intskirveli L., Kordzakhia G. Numerical Modeling of Dust Propagation in the Atmosphere of a City with Complex Terrain. The Case of Background Eastern Light Air. Journal of Applied Mathematics and Physics. Vol. 8 No.7, 2020, pp. 1222-1228. <https://doi.org/10.4236/jamp.2020.87092>.
7. Зилитинкевич С. С., Монин А. С. Турбулентность в динамических моделях атмосферы. Ленинград. Наука, 1971, 44 с.
8. Марчук Г. И., Кочергин В. П., Саркисян А. С., Бубнов М. А., Залесный В. Б., Климок В. И., Кордзадзе А. А., Кузнецов В. И., Протасов А. В., Сухоруков В. А., Цветова Е. А., Щербаков А. В. Математические модели циркуляции океана. Новосибирск, Наука, 1980, 288 с.

### ქ. თბილისის ატმოსფეროში მტვრის გავრცელების რიცხვითი მოდელირება.

### III. დასავლეთის ფონური ძლიერი ქარის შემთხვევა

### სურმავა ა., ინწკირველი ლ., გვერდნითელი ლ.

#### რეზიუმე

